ქ. წალენჯიხა

29 მარტი 2023 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა
კომისიის რიგგარეშე სხდომის ოქმი N5

2023 წლის 29 მარტს გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელია. ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაია მიქავა, გიორგი დარსალია, თენგიზ ფიფია, მამუკა მიქავა, ომარ ქარდავა.

დაწყების დრო: 12:^{00}-სთ.
დასრულების დრო: 12:^{05}-სთ

დღის წესრიგი:

1. **„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

პროექტის წარმომდგენი: ელენე ბერაია, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ

2. **„ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 ივნისის № 20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

პროექტის წარმომდგენი: ელენე ბერაია, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ

სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რომან კვარაცხელიამ სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.
„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და ,, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების შესახებ'' წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 ივნისის № 20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხები წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ ელენე ბერაიამ.
„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია ცვლილება შეიტანოს „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების შესახებ" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 ივნისის

N20 და „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N39 დადგენილებაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, რომელიც ამოქმედდა 2023 წლის 1 აპრილიდან(დანართი თან ერთვის).

საკითხებთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შენიშვნები და წინადადებები არ ჰქონიათ და ერთხმად ჩათვალეს საკითხები საკრებულოს სხდომაზე განსახილველად მომზადებულად.

ამით საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — რომან კვარაცხელია